ზხელშეკრულება № 16

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ზემო ალვანი

18 სექტემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - ზემო ალვანის #1 საჯარო სკოლის (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაგრატ ქადაგიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯიბე"წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ხაბელაშვილის (შემდგომში -მიმწოდებელი) სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლიI. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია პირადი ჰიგიენის და დასუფთავების საშუალებები.(*spv 39800000კოდით* ) შესყიდვა, ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 297.61 *(ორასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი 61 თეთრი ლარს.*

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, მისამართზე ზემო ალვანი.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ)ამ მუხლის 5.3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2(ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1 %-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,1 %-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3(სამ)%-ს , შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელსკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

**მუხლი 7. ფორს მაჟორი**

7.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ფორს მაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის დამთავრებისთანავე.

**მუხლი 8.** ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია.

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. [illegible] გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 სექტემბრამდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხრის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

| მიმწოდებელი | შემსყიდველი |
|---|---|
| შპს „ჯიბე" | სსიპ ზ.ალვანის #1 საჯარო სკოლა |
| ქ.თელავი დავით აღმაშენებლის 14 | ახმეტა ზ. ალვანი |
| ს/კ 206335223 | ს/ კოდი: 224619438 |
| ტელ: 577 55 58 90 | ტელ: (+995 591 012 377 ) |
| სს„ თიბისი ბანკი" | სს„ლიბერთი ბანკი"-ს |
| თელავის ფილიალი | ახმეტის ფილიალი |
| საბანკო კოდი: TBCBGE22 | საბანკო კოდი: LBRTGE22 |
| ა/ ა:GE83TB7918136020100002 | ა/ა: GE33LB0121131230155000 |

მიმწოდებელი: /[illegible]ელაშვილი/

18 სექტემბერი 2018 წელი

დირექტორი: /ბ. ქადაგიძე/

18 სექტემბერი 2018 წელი

# აქტი№ 16

ზემო ალვანი

18 სექტემბერი 2018 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერებმა:ერთის მხრივ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის № 1 საჯარო სკოლის დირექტორმა ბაგრატ ქადაგიძემ ,სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორმა დალი ვეშაგურიძემ,და მეორეს მხრივ შპს ,,ჯიბე"-ს დირექტორმა შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ მიმდინარე წლის 18.10.2018 წლის N 16 ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,ჯიბემ" სკოლას გადასცა პირადი ჰიგიენის და სისუფთავის დაცვის საგნები და საშუალებები.

რისთვისაც სკოლა მას გადაურიცხავს 297.61 (ორასოთხმოცდაშვიდმეტი და 61 ) ლარს.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

მიიღო:

1. / ბაგრატ ქადაგიძე /
2. / დალი ვეშაგურიძე/

ჩააბარა:

1. .ხაბელაშვილი/